საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება

4 ივლისს მოსკოვში შესდგა ორი მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის “თასის” 1947 წლის გათამაშებაზე.

“დინამოს” სტადიონზე თამაშობდნენ თბილისისა და მინსკის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. ერთადერთი გადამწყვეტი ბურთი მინსკელთა კარში გატანილ იქნა პირველი ტაიმის 42-ე წუთზე და თბილისის “დინამომ” მოიგო მატჩი ანგარიშით _ 1:0. ამრიგად, თბილისის “დინამოელები” გავიდნენ სსრ კავშირის “თასის” გათამაშების მეოთხედ ფინალში. 8 ივლისს ისინი შეხვდებიან მოსკოვის “ტორპედოს”.

6 ივლისი, 1947 წ.